ხელშეკრულება N72
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ქუთაისი 29ივნისი 2022 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, დირექტორი სულხან გოგოლაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველზე ერთი მხრივ და **შპს. "ახალი ნათება" ს/კ 202066156** შემდგომში „მიმწოდებელი" **გენერალური დირექტორის თემური არდოტელის** სახით მეორეს მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 2022 წლის საკუთარი შემოსავლების სახსრებით პიესა ანჯეი სარამონოვიჩი „ტესტოსტერონი" შემდგომში სპეკტაკლში CPV-31532100 მილისებრი ლამპები (სანათი XBL-T5-0218 1.2M 18W 6000K LED Tube /E212E) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ხელშეკრულების დანართი N1 -ით გათვალისწინებული პროდუქცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს დღგ **ჩათვლით**

594 (ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას , რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ.ქუთაისი, აღმაშენებლის ქ. N7.**

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა).
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისი.

6. შესყდვის ობიექტის მიღება- ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
7.3 ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- საქონლის მიწოდებისას შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება
8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობის შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება , რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულებით გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2022 წლის 30 ივლისი .**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით , როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება , კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების სესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის **დირექტორი სულხან გოგოლაშვილი.**

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
Sulkhan Gogolashvili 01012000264 Digitally signed by Sulkhan Gogolashvili Date: 2022.06.30 12:20:32 შემსყიდველი:	მომწოდებელი: ----------
საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მის: ქ. ქუთაისი აღმაშენებლის მოედანი #1 საინდიფიკაციო კოდი: **212698473** სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22 ა/ნ 708387 019 **საკონტაქტო ტელ.: 24-57-47; 24-56-41**	**შპს. "ახალი ნათება"** **ს/კ 202066156** **იურ/მის:ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის N25ა** ფაქტ/მის: ქ.ქუთაისი დ.აღმაშენებლის ქ.N7 **ს.ს „პროკრედიტ ბანკი"** **GE74PC0053600100013179** **MIBGGE22** **T: 032 2242020**

New Light LLC
Digitally signed by New Light LLC
Date: 2022.06.29 12:34:10 +04'00'

დანართი №1

მომწოდებლის დასახელება შპს.”ახალი ნათება“

დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	შენიშვნა
სანათი XBL-T5-0218 1.2M 18W 6000K LED Tube /E212E)	40 ცალი	14.850	594	
სულ			594	

მომწოდებლის ხელმოწერა:

ხელწერილი ინტერესათაკონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 28 ივნისი 2022 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ.“ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის „ დირექტორი სულხან გოგოლაშვილი, ხელის მოწერით ადასტურებს ,რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში **შპს. “ახალი ნათება“-ს** მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქს.

თეატრის დირექტორი:
სულხან გოგოლაშვილი

შპს. “ახალი ნათება“:
გენერალური დირექტორი
თემური არდოტელი